სალომე ნადირაძე

ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია

,,ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლაში ჩავაბარე და სწორედ აქედან იწყება უამრავი შესაძლებლობის აღმოჩენა. ყოველთვის მჯეროდა, რომ საზღვარგარეთ სწავლა არ იქნებოდა მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიღების შესაძლებლობა, არამედ ეს იყო გზა პიროვნული ზრდისა და უნარების განვითარებისკენ.

Erasmus+ პროგრამაში მე-4 კურსზე ჩავერთე, რაც ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და მას დაუფიქრებლად ვურჩევ ყველა სტუდენტს.

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, თითქმის ნახევარი წელი გავატარე სლოვენიაში, ლუბლიანას უნივერსიტეტში. ლუბლიანას უნივერსიტეტი სლოვენიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი უნივერსიტეტია, რომელიც ცნობილია განათლების მაღალი ხარისხით და კვლევებით, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს სამმაგი აკრედიტაცია- AACSB, AMBA, EQUIS.

უცხო გარემოსთან ადაპტაცია თავიდან რთული იყო, ცხოვრების ახალი რიტმისა და განსხვავებული განათლების სისტემის გამო. თუმცა, ეს დამეხმარა გამოვსულიყავი კომფორტის ზონიდან და უკეთ შემეცნო საკუთარი თავი. მულტიფუნქციურმა სასწავლო გარემომ, საერთაშორისო ლექტორებმა, ჯგუფურმა პროექტებმა საერთაშორისო სტუდენტებთან ერთად, გააუმჯობესა ჩემი კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარები. საერთო ჯამში, ამ ყველაფერმა მნიშვნელოვნად გამიღრმავა გლობალური ცოდნა ბიზნესის სფეროში.

მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო Erasmus+ პროგრამას, განსაკუთრებით კი კავკასიის უნივერსიტეტს ამ უნიკალური გამოცდილებისა და მუდმივი მხარდაჭერისათვის.